პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი, № 237 (12151) | კვირა, 15 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1961 წლის 14 ოქტომბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

2. სკკპ პროგრამის პროექტის განხილვის შედეგების შესახებ.

3. სკკპ წესდების პროექტის განხილვის შედეგების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსახილველ საკითხებზე მოისმინა ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ფ. რ. კოზლოვის მოხსენებანი.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი, რომლებიც ქვემოთ ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1961 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება

(მიღებულია ერთხმად)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი, წარმოდგენილი პლენუმის განსახილველად, დამტკიცდეს.

სკკპ პროგრამის პროექტის განხილვის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1961 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის საერთოპარტიული და საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პროგრამის პროექტი, რომლის განხილვაში მონაწილეობა მიიღო პარტიის 9 მილიონზე მეტმა წევრმა და კანდიდატმა, სულ 82 მილიონზე მეტმა მშრომელმა, ერთსულოვნად მოწონებულია ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, რაიონულ, საოკრუგო, საქალაქო, საოლქო და სამხარეო კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ჯარის ნაწილთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მშრომელების მრავალ კრებაზე. ამრიგად სკკპ ახალი პროგრამის პროექტმა მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სრული, მხურვალე მხარდაჭერა პოვა.

პროგრამის პროექტის განხილვამ უმაგალითო შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია პარტიასა და ხალხში, ცხადყო მათი მჭიდრო და განუყრელი ერთიანობა, განუხრელი მისწრაფება განახორციელონ სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების პროგრამა. განხილვის მსვლელობაში შემოსული კომუნისტებისა და უპარტიოების მრავალი წინადადება პროგრამის პროექტის გამო გამსჭვალულია კეთილშობილური ზრუნვით კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა გამრავლებისათვის.

იმსჯელა რა პროგრამის პროექტის განხილვის შედეგებზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღგენს:

1. დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი შეტანილი დამატებებით და ცვლილებებით.

2. შეტანილ იქნეს სკკპ პროგრამის პროექტი პარტიის XXII ყრილობის განსახილველად.

სკკპ წესდების პროექტის განხილვის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1961 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა რა ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის მოხსენება სკკპ წესდების პროექტის განხილვის შედეგების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღგენს:

1. დამტკიცდეს სკკპ წესდების პროექტი შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით.

2. შეტანილ იქნეს სკკპ წესდების პროექტი პარტიის XXII ყრილობის განსახილველად.

17 ოქტომბერს გაიხსნება სკკპ XXII ყრილობა

საჩუქრები

გამარჯვებათა პატაკი

ფოთელ-ფუარო. („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის საქმეში სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. სახელმწიფოს მიეყიდა 2.540 ცენტნერი ხორცი, რაც წლიური გეგმის 101 პროცენტს შეადგენს. რძის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, მატყლისა — 125 პროცენტით.

სოფელ ზემო მაჩხაანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულა, კვერცხისა — 115 პროცენტით.

პროდუქტების ჩაბარება გრძელდება.

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები თავგამოდებით იბრძვიან პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ალგეთის კოლმეურნეობამ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდა რძის წარმოება და წელს ცხრა თვეში მიიღო 58.438 ცენტნერით მეტი რძე. მოწინავე მეწველავებმა რ. მახარაშვილმა, ა. ვანიევმა, გ. შავშიშვილმა, ო. მჭედლიძემ, ა. ქავთარაძემ, და სხვებმა თვითეულ საფურაეე ძროხაზე 2.400-2.500 კილოგრამამდე რძე მიიღეს.

ახმეტა. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით იკისრეს გეგმის ზევით ჩაბარებინათ 1.300 ტონა ყურძენი. ახლა ეს ვალდებულება გადაჭარბებით აჭარბებენ. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.320 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. სულ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.020 ტონა ყურძენი. ყურძენი დიდი რაოდენობით ჩაბარეს ახმეტის, ალვანის საბჭოთა მეურნეობებმა და ქისტაურის კოლმეურნეობამ.

შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

ქიათურა. (საკ. კორ.). მშობლიური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად მაღალნაყოფიერად შრომობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მაღაროელთა თავდადებული შრომის შედეგად აქ ამჟამად ფრიალებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მაღაროს კოლექტივი კარგა ხანია მადანს ნოემბრის ანგარიშში იძლევა. ყრილობისწინა დღეებში კალინინელები ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 140-150 ტონა მარგანეცს აძლევენ სამშობლოს.

ყვარელ-ქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის მაღაროელები სკკპ XXII ყრილობას ხელოვანელი როდი ხვდებიან. სამეურნეო წლის დაწყებიდან შახტმა ათასობით ტონა ზეგეგმითი „შავი ოქრო“ მისცა დედა-სამშობლოს.

განსაკუთრებით დაწინაურდა მესამე უბანი, რომელსაც კომუნისტი პლატონ ლეჩქაშელი უდგას სათავეში. უბანმა გეგმის გადამეტებით ამოიღო 9.077 ტონა სათბობი. მოწინავეთა რიგებში დგას მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა მეშახტე ა. გამსახურდია ხელმძღვანელობს.

დ. ჩაკაბერია.

რკინიგზის სამტრედიის სავაგონო დეპოს კოლექტივი კარგი წარმატებით ეგებება პარტიის XXII ყრილობას. მეგაგონეებმა ვაგონების სამეალო შეკეთების 9 თვის გეგმა 104,9 პროცენტით შეასრულეს, დეპოში ავადყოფი ვაგონების გაჩერება ნორმასთან შეფარდებით შემცირებულია 7,4 ვაგონით, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 4,4 პროცენტით.

წინასაყრილობო ვალდებულებების სასახელოდ შესრულებაში თავი ისახელეს აწყვეთი საამბროს ზეინკლმა მ. მუშაკიძემ, დურგალმა რ. ოჩხიკიძემ, მღებავმა ვ. რუხაძემ, მექანიკე შ. ჭოლაძემ, მხურვამა ა. შენგელიამ და სხვ.

დ. გოგიტიძე.

ორჯონიკიძის რაიონის აღგილობრივი მეურნეობის კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 9 ოქტომბრისათვის 104,1 პროცენტით შეასრულა.

საწარმოს კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 50 ათასი მანეთის პროდუქცია.

ვ. სახვაძე.

ლენინგორი. (საკ. კორ.). მდიდარი შემოდგომაა ტირიფონის ველზე. სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმეველოვან წარმატებებს მიაღწია სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ.

კარგად იმუშავეს მესიმინდეებმა. მათ 250 ჰექტარზე აიღეს სიმინდის მოსავალი. ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს.

განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მიიღო ბრიგადამ, რომელსაც ნიკოლოზ გუსოევი ხელმძღვანელობს. 21 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 85 ცენტნერი სიმინდი — ასეთია ამ ბრიგადის მაჩვენებელი. ნ. გუსოევის ბრიგადის წევრებმა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით მიიღეს 29 ტონა სიმინდი.

ასე ეგეგეგიან...

ცხაკაიას რაიონის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 104,7 პროცენტით, სახელმწიფოს სულ მიეყიდა 4.396 ცენტნერი ხორცი.

ქ. ცხაკაიას ჩაის ფაბრიკამ მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გამოშვებულია 463,5 ტონა პროდუქცია, აქედან 268,8 ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხისაა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 263,3 ტონისა.

საქვაბრობის ზუგდიდის განყოფილებამ (მმართველი კ. ხარებავა) წარმატებით გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. 21 სექტემბრისათვის 100,7 პროცენტით შეასრულა საქონელბრუნვის მესამე კვარტალის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 126 პროცენტით გაიზარდა საქონელბრუნვა.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს საქონელბრუნვის ათი თვის გეგმა.

საკდესის ცნობა

ა. წ. 7 ოქტომბერს მფრინავმა ა. ვ. ფედოტოვმა „ი-166“ რეაქტიული თვითმფრინავით დაამყარა სიჩქარის აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი — 2.385 კილომეტრი საათში ასკილომეტრიანი ბაზის ფარგლში.

ფრენის ცალკეულ უბნებზე სიჩქარე აღწევდა 2.730 კილომეტრს საათში.

ეს მსოფლიო რეკორდი რეგისტრაციისათვის წარედგინება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციას.

თბილისი. სურათზე: ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ა. ტ. სტუჩენკო, ბ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ბანუქვაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატთა შორის.

ფოტო ალ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

კომუნიზმის ისტორიული მისია

თანამედროვე ეპოქის ყველაზე მწვავე პრობლემა ომისა და მშვიდობის პრობლემაა. მისი გადაწყვეტა განსაზღვრული სახით გავლენას იხდენდა და ახდენს ცალკეული ხალხებისა და ქვეყნების ბედზე. ამიტომ ომისა და მშვიდობის პრობლემა ასეულ მილიონობით ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა გახდა. ახლა ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მთელი კაცობრიობის ბედი.

ყველას აღელვებს საკითხი, თუ რა გზით წავა კაცობრიობა — საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების, კონფლიქტებისა და გამანადგურებელი რაკეტულ-ატომური ომისა თუ მშვიდობიანი მოლაპარაკების, ეკონომიური შეჯიბრებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გზით? ამ საკითხის გადაწყვეტას გვერდს ვერ აუვლიან ახლა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანები მთელ მსოფლიოში.

ომი მუდამ იწირავდა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს, აუარაკებელი უბედურება და მწუხარება მოჰქონდა კაცობრიობისათვის. ომის ცეცხლში ინთქმებოდა ჯიგითა და ოფლით შექმნილი მატერიალური ფასეულობა, კულტურის ძეგლები. მშრომელებს, რომლებიც მატერიალურ სიმდიდრეს ქმნიან, არ შეძლებდა ომებისადმი მისწრაფება ჰქონდეთ. ომები სჭირდებათ მხოლოდ იმპერიალისტებს, რომლებიც ზღაპრულ მოგებას ღებულნ. მშრომელ ხალხს — მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობასა და ინტელიგენციას მუდამ სძულდათ ომი. სწორედ ისინი გამოდიოდნენ და გამოდიან ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად. სოციალიზმს არ ესაჭიროება ომი. სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია.

ომი მუდმივი მოგლენა როდია. იგი სოციალური მოვლენა, ანტაგონისტური საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნამდე ომების თავიდან აცილება ოცნება იყო. ხოლო ზოგჯერ ის იყო ადამიანთა მოტყუების საშუალებაც. მაგრამ ახლა, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქაში, როცა მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა, შეიძლება ჩაიფუშოს იმპერიალისტთა აგრესიული ჩანაფიქრი — ომის გზით შეაფერხონ კაცობრიობის ისტორიული განვითარების მსვლელობა.

ომისა და აგრესიის მთავარი ძალა ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც შექმნა ომის უზარმაზარი ავარატი და არ სურს მისი შეკვეცა. იმპერიალისტები უგულვებელყოფენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს, გაწაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აღეარუნებენ იარაღს და იმოქმედებენ რაკეტულ-ატომური ომით. იმპერიალისტები ამზადებენ ყველაზე საშინელ დანაშაულს კაცობრიობის წინაშე — მსოფლიო თერმოატომგულის ომს, რომელსაც შეუძლია კატასტროფის წინაშე დაყენოს კაცობრიობა.

ამბრამ არსებობს ისტორიის დიალექტიკა, ან, როგორც ფრიდრიხ ენგელსი წერდა, დიალექტიკური მოძრაობის შინაგანი კანონები, რომელთა თანახმადაც მილიტარიზმი იღუპება თავისი საკუთარი განვითარების შედეგად.

სკკპ პროგრამის პროექტი მთელი მსოფლიოს კომუნისტების, საერთაშორისო მუშათა კლასის, ომის ყველა მოწინააღმდეგის ყურადღებას მიაპყრობს ომისა და მშვიდობის საკითხს. იგი მიუთითებს, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, არსებობს ომის საფრთხეც. როგორც ფრანგი სოციალისტი ჟან ჟორესი ამბობდა: იმპერიალიზმს ისევე მოაქვს ომი, როგორც ღრუბელს უამინდობა და ქარიშხალი. თავისი სისხლიანი ბატონობის პერიოდში იმპერიალიზმმა აუარაკებელი ომი აწარმოვა, რომლის ღვართქაფში დაიღუპნენ ათეულ მილიონობით ადამიანები. ამიტომ ხალხთა მთელი ღონისძიებანი უნდა წარიმართოს იმპერიალიზმის ასალაგმავად, რათა მოუსპონ მას მომაკვდინებელი იარაღის ამოქმედების შესაძლებლობა. დიდი დამანგრეველი ძალის იარაღის გამოგონებამ შეუძლებელი უნდა გახადოს მისი გამოყენება. და ეს ძალუძს ადამიანთა ახლანდელ თაობას. ახლა დადგა ისეთი დრო, როცა „ხალხები, რომლებსაც ომი არა სურთ, შეძლებენ ყველა ღონისძიებით აიცილონ ომი“ (ვ. ი. ლენინი).

დასავლეთის იმპერიალისტური წრეების მიერ ომის ისტერიის გაღვივებას სპასუხოდ საზოგადოების პროგრესული ძალები აყენებენ მშვიდობისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის დიდებულ პროგრამას.

მშვიდობისა და პროგრესის საქმის ყველაზე თანმიმდევრულ დამცველებს წარმოადგენენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. მშვიდობისათვის ბრძოლის აუანგარიშო იმყოფიანან კომუნისტები. კომუნიზმი ასრულებს თავის ისტორიულ მისიას: იბრძვის ყოველგვარი უთანასწორობისა და ომის საშინელების წინააღმდეგ, ამკიცხავს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობასა და ბედნიერებას.

წინათ არ იყვნენ პარტიები, არ იყვნენ ქვეყნები, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად ეღიარებინათ მშვიდობისათვის ბრძოლა. არ იყო ისეთი პარტია, ისეთი ქვეყანა, რომელიც შეძლებდა ამ ტიტანური ამოცანის შესრულებას. ახლა არის ასეთი პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, არის ასეთი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი. მათ თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნად გამოაცხადეს ომების მოსპობა.

ახლა სოციალისტური სისტემა დედამიწის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მიზიდულობის ცენტრი გახდა. შეიქმნა მშვიდობის ვრცელი ზონა, რომელშიც სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად შედის დიდი ჯგუფი აოსაფილისტური ქვეყნებისა. ახლა ძალთა თანაფარდობა მშვიდობის სასარგებლოდ შეიცვალა.

„მძლავრი სოციალისტური ბანაკის, მშვიდობისმოყვარე აოსაფილისტური სახელმწიფოების, საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანებული ძალებით და ყველა იმათი ძალებით, ვინც მშვიდობის საქმეს იცავს, — ნათქვამია სკკპ პროგრამის პროექტში, — **შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი**“.

ამ ამოცანის განხორციელება პროგრამის პროექტში განხილულია არა მარტო შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომელიც არსებობს დღეს. მასში ეს პრობლემა განხილულია მისი ცალილებებით, ძალთა ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობის მსოფლიო განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით. სოციალიზმის ძალების მზარდ უპირატესობას იმპერიალიზმის ძალებზე, მშვიდობის ძალებისას ომის ძალებზე მივყავართ იქითკენ, რომ სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმი კიდევ იარსებებს, წარმოიშობა რეალური შესაძლებლობა საზოგადოების ცხოვრებიდან მსოფლიო ომის გამორიცხვისა, ხოლო მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვება საბოლოოდ მოსპობს ყოველგვარი ომის წარმოშობის სოციალურ და ეროვნულ მიზეზებს.

კომუნიზმი ისტორიულ მისიად თვლის მოსპოს ომები და დაამკვიდროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა. ასეთი მისიის შესრულება შეუძლია მხოლოდ ყველაზე სამართლიან და ჰუმანურ სახელმწიფოს. კომუნისტები ამ დაბადებულ ვითარებაში აყენებენ ყველაზე გონივრულ პრინციპს — სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. მშვიდობიანი თანაარსებობა ნიშნავს უსიტყვოდ აღიარო ყოველი სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური წყობილება, როგორც ყოველი ქვეყნის განუყოფელი უფლება. მხოლოდ ხალხს აქვს უფლება იცხოვროს ისე, როგორც სურს, და აირჩიოს ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მას დიდების ძალებისა ომის ძალებზე მოსწონს. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებას სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის საერთაშორისო მასშტაბით. იგი ამავე დროს წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკურ ფორმას.

„ჩვენ არავის არ ვახვევთ თავს ჩვენს წყობილებას, — განაცხადა გრომიკომ 26 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე, — მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არავის არ მივცემთ უფლებას დაგვიწყოს ჩაცუის სწავლება, თუ როგორი წყობილება უნდა იყოს სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენც არ მოგვწონს შინაგანი წყობა ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მილიონობით ათეულ მილიონობით ადამიანთა შრომა, გრძნობა, და მისწრაფება ექვემდებარება უმნიშვნელო უმცირესობას, რომელთა ხელშია თავმოყრილი ძალაუფლება და სიმდიდრე, მაგრამ უნდა თანავიარსებობთ ერთ პლანეტაზე“.

კომუნისტები გადაჭრით ილაშქრებენ ომების, მათი საშიში კერების წინააღმდეგ, უარყოფენ „ცივი ომისა“ და ომის ზღვარზე ბალანსირების ამერიკელ დოკტრინას და თვლიან, რომ ასეთი პოლიტიკა მიდის თერმოატომურ კატასტროფამდე. კომუნისტები მოითხოვენ მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას, გერმანიასთან საბოლოო ხელშეკრულების დადებას, ხალხთა უშიშროების დაცვას, კომუნისტთა ასეთი გადწყვეტილებანი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს სოციალიზმისა და კომუნიზმის ჰუმანიურობას.

მაგრამ თუ იმპერიალისტები ხალხებს მაინც მოახვევენ თავს მესამე მსოფლიო ომს, ხალხები ვეღარ მოითმენენ ისეთ წყობილებას, რომელიც ყოველთვის გამანადგურებელი ომების წყაროა. ისინი აღგვიან და დასამარებენ იმპერიალიზმს.

მშვიდობისათვის ბრძოლა და გამანადგურებელი მსოფლიო ომისაგან კაცობრობის ხსნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის განუყოფელი ნაწილია. მთელ მსოფლიოში გაიმართა პროგრამის პროექტის სიტყვები: „კომუნიზმის ისტორიული მისიაა მოსპოს ომები, დაამყაროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა“.

გამარჯვებული კომუნიზმის დიადი პროგრამა ისტორიაში შევა როგორც მშვიდობის დიადი ქარტია.

ვ. რატიანი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

წინასაჯარისოდო ტრიბუნა

კარგად ვიცოდეთ სასკპ პროგრამა და ჩვენ ... ვართ ...



დიადი შუქი

დღეს უკვე მეცხრე ცამდე
მაღლდება
მზით ავსებული ჩვენი მიზნები.
ფიქრი ფეთქდება ვარდის
ბაღებად,
ზღაპრულ გმირივით სწრაფად
ვიზრდებით.

დღეს ჩვენი ფიქრი რაკეტად
მიმქრის,
ზეცას შეეცქერით გაბადრულები
და შურით კვდება მტარვალთა
ფიქრი,
ფიქრი — სამყაროს
განადგურების.

მთელ მსოფლიოში მონობის
უღელს
უკვე აწყდება ამეურები,
მზე ფართო კარებს კომუნიზმს
უღებს
და მუზეუმში მიგვაქვს ურემი.

ზეცას უღონო მთვარე ჩაიდა,
მზეობენ ჩვენი ელსადგურები.
— მდინარეებო საით მიდიხართ?
— კომუნიზმისკენ მივეშურებით.

ჩვენს გულში დიდი შუქი
გიზგიზებს,
მისი სიკეთე ზეცაშიც იგრძნეს.
ქვეყანა მიდის კომუნიზმისკენ
და გზას უნათებს პარტიის
სიბრძნე.

აკაკი გეწაძე.

სკკპ XXII ყრილობის დელეგატები ნ. მუსხელიშვილი (მარჯვნივ) და ი. აბაშიძე მოსკოვში გემგზავრების წინ. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სპეციალიზაცია — წარმატების გერკეტი

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით თბილისში მოეწყო სპეციალიზებული ფეხსაცმლის ვაჭრობა „თბილფეხსაცმელვაჭრობა“.

სპეციალიზაციამდე ფეხსაცმლის ვაჭრობა წარმოებდა შერეულ მაღაზიებში, სადაც არ იყო ვაჭრობის ჯეროვანი კულტურა, დაბალი იყო მოსახლეობის მომსახურების ფონე, მაღაზიებში ყოველთვის არ იყო ფეხსაცმლის სრული ასორტიმენტი.

სპეციალიზაციის შემდეგ საქონელბრუნვის გეგმა სისტემატურად სრულდება. გაიზარდა ვაჭრობის კულტურა და გაუმჯობესდა ფეხსაცმლის ასორტიმენტი. ჩვენ გვაქვს ვიწრო სპეციალიზაციის მაღაზიები. მაგალითად, 33 მაღაზიიდან 4 მაღაზია ვაჭრობს მხოლოდ და მხოლოდ სამაგრო ასორტიმენტის ფეხსაცმლით, 11 — ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლით, 18 — ყოველგვარი ფეხსაცმლით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ცეცხლგამძლე და მსუბუქი მასალების ლაბორატორიამ შეისწავლა ადგილობრივი ნედლეულის მარაგი კერამზიტის წარმოებისათვის. კვლევის საფუძველზე დამუშავდა წარმოების ტექნოლოგია და რეკომენდებულია ადვილად დნობადი თიხის სხვადასხვა სახეობები. ამუამად ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანაში იგეგმება კერამზიტის საამქრო ზანთის თიხების ბაზაზე.

კერამზიტს ხელოვნურად იღებენ თიხებისაგან და იყენებენ ბეტონების შემავსებლად, როგორც მსხვილ ღორღს. დაფქვის შედეგად შეიძლება მისი გამოყენება ქვიშად. იგი გამოდგება მსხვილი ბლოკებისა და პანელების წარმოებისათვის. კერამზიტის შემავსებლიდან მაღალი სიმტკიცის ბეტონების დამზადების ტექნოლოგია ამავე ინსტიტუტის ბეტონის ლაბორატორიამ დაამუშავა.

კერამზიტის წარმოების ორგანიზაციის დროს მთავარია ნედლეულის შერჩევა და მისი ხარისხის სწორად განსაზღვრა. კერამზიტის საწარმოები მრავლად არის როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. სასურველია ასეთივე ქარხნები შეიქმნას საქართველოში. ამისათვის საკმაო ნედლეული მოგვეპოვება. განსაკუთრებით მდიდარია გუდურის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, ახალდაბის და ახალციხის საბადოები.

ინჟინერი ს. მაჭავარიანი.

ყრილობას მიუძღვნეს

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომმა და თბილისის კუშტინის სახელობის კოლმეურნეობის ინსტიტუტმა ლაგოდეხში მოაწყვეს ბამსცელი საგიბლიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXII ყრილობას.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. გრიგორიანმა.

მოხსენება — „სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ძირითადი ობიექტურ-ეკონომიური ... ...

მსოფლიო სკკპ XXII ყრილობის წინ

კაცობრიობის ფიქრთა მეუფე

17 ოქტომბერს კრემლის ახალი დიდი თეატრის დიდ დარბაზში იხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ყრილობამ უნდა მიიღოს ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილებანი და სწორედ ეს განაპირობებს მისი მუშაობისადმი არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ მთელი კაცობრიობის განსაკუთრებულ ინტერესს.

ყრილობის წინ საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებისა და პატრიოტული სიამაყის გრძნობით განიხილავს ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვან გზას, რომელიც მან გაიარა, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია მოიცვა უდიდესმა შრომითმა პათოსმა, იმ მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლება მეტი წელილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის საყოველთაო სახალხო საქმეში.

ჩვენი მეგობრები სოციალისტურ ქვეყნებში გულწრფელად ხარობენ საბჭოთა ხალხის წარმატებებით და ამრავლებენ თავიანთ შრომითს საგმირო საქმეებს.

დიდი შრომითი აღმავლობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, უნგრეთსა და სხვა ჩვენს მრძმე ქვეყნებში, რომელთა ხალხებს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიდი პროგრამა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი უსურვებს საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტმა, რომელიც შეტანილია ყრილობის განსახილველად, ყველა კონტინენტის ხალხთა დიდი ყურადღება მიიპყრო. იგი გამოცემულია ბევრ ქვეყანაში და ბევრ ენაზე, მას კითხულობენ და სწავლობენ სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და მრწამსის ადამიანები.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კაცობრიობის დიდი უმრავლესობა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გეგმა უეჭველად განხორციელდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი ინტერესი მოწმობს კომუნისტური იდეების უდიდეს მიმზიდველ ძალას. მარქსიზმ-ლენინიზმი პროგრესული კაცობრიობის ფიქრთა მეუფე გახდა. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უბოროტესი მტრებიც კი იძულებული არიან ჩაუფიქრდნენ ამას. მაგალითად, ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი უილიამ შლამი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამერიკელ მრეწველთა ორგანოს — ჟურნალ „ფორჩუნს", აღიარებს: „ადამიანის სულის ყველაზე გაბედული, ყველაზე შემმართებლური გამოვლინება, რაც საუკუნეთა განმავლობაში დაგროვდა და ძლიერ მიმზიდველად გამოიყურებოდა, კომუნიზმის პირობებში ნებისა და მიზანსწრაფვის ერთიანობად იქცევა".

ამგვარი აღიარება მხოლოდ იმას აღასტურებს, რომ მარტო კომუნისტურ პარტიებს ძალუძთ განახორციელონ კაცობრიობის ოცნება და საუკეთესო იმედები. ეშმთხვევითი როდი, რომ საზღვარგარეთის გამოჩმაურებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამო შეიცავენ გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებს აღარ შეუძლიათ დაიახონ თავიანთი ხალხისათვის იმ სიკეთის თუნდაც უმცირესი წილის შექმნის პერსპექტივა, რომლითაც საბჭოთა ადამიანებია დაკმაყოფილებული კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი.

კომუნიზმის საქმე უძლეველია. ამაოა იმათი ცდები, ვისაც სურს დაანგრიოს კომუნიზმის ძლეუამოსილი წინსვლა. საცოდავ პიგმეებს გვანან ეგრეთწოდებული სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები, რომლებიც ამ დღეებში იწვევენ თავიანთ კონგრესს რომში და სურთ გადაქცევინონ იგი ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა დემონსტრაციად. მათ განზრახული აქვთ მიიღონ „დოკუმენტი", რომელიც, როგორც ისინი ვარაუდობენ, იქნება „პასუხი" მიმდინარე წელს 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირზე მიღებული განცხადებისა. მაგრამ ეს წამოწყება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ინგლისის მუშათა კლასის გაზეთი „დეილი უორკერი", მოწმობს მემარჯვენე სოციალისტურ ლიდერთა გაკოტრებასა და იმ უფსკრულის არსებობას, რომელიც აშორებს მათ სოციალისტური პარტიების მოწინავე წევრებისაგან. „გრანდიოზული პერსპექტივების შუქზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა დასახავს, — წერს გაზეთი, — ეს დოკუმენტი (სოციალისტური ინტერნაციონალისა) კიდევ უფრო ცარიელი და სინამდვილის დამახინჯება იქნება".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა მოკაშკაშე შუქურასავით გაუნათებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზას და აღაფრთოვანებს მსოფლიოს ყველა ხალხს უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად.

ძალისეული ლ. ასლანოვი.

სსრ კავშირის მიზანია მშვიდობა

ბერლინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ინგლისის პარლამენტის ლიბორისტ წევრთა წერილზე დღეს ბერლინის დემოკრატიული პრესის ყურადღების ცენტრშია. „ნოიეს დოიჩლანდი" საბჭოთა მთავრობის მეთაურის პასუხს აქვეყნებს პირველ გვერდზე დიდი სათაურით: „ხრუშჩოვი: ჩვენ მზად ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებთან". თავის მხრივ, „ნოიეს დოიჩლანდი" აღასტურებს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს როგორც „მოლაპარაკების კონკრეტულ პროგრამას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი", განაცხადა, რომ მზად არის რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკება, რომ გამონახონ გამოსავალი წარმოქმნილი მძიმე მდგომარეობიდან. საბჭოთა მთავრობის მეთაური ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მთავრობა მზად არის მოითხოვოს ისეთი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ბერლინში გარანტირებულ შესვლას, ოდერ-ნოისეს საზღვრის აღიარებას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჯარების ატომური შეიარაღების დაუშვებლობას; ნატოს ქვეყნებისა და ვარშავის ხელშეკრულების შეიარაღებული ძალების გამორიცხვას ცენტრალურ ევროპაში.

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა ინგლისის პარლამენტის წევრ ლიბორისტთა ჯგუფის წერილზე ინგლისის პრესის მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია, თუმცა წერილის ტექსტი გუშინ გვიან საღამოს მიიღო ლონდონმა, ყველა გაზეთმა დაბეჭდა გვიან გამოშვებებში ცნობები ამ წერილის შესახებ და წერილის შინაარსი.

„გარდიანმა" წერილის შინაარსი დაბეჭდა პირველ გვერდზე და სათაურში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება.

ყველა გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი შეიცავს გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხების გადაჭრის კონკრეტულ პირობებს.

კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ინგლისელი ლიბორისტი ემანუელ შინწელი აღნიშნავს: თავის წერილში ნ. ს. ხრუშჩოვი „ხაზს უსვამს იმას, რომ მშვიდობა სურს". „დარწმუნებული ვარ, — განაცხადა შინწელმა, — რომ მას ნამდვილად სურს ეს, თუ ჩვენ ვითანამშრომლებთ მასთან".

ამერიკელ პატრიოტთა ბრძოლისა

ძალისეული ლ. ასლანოვი.

დედამიწა რომ არ აფეთქდეს...

კენედის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). 12 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ სიტყვა წარმოთქვა ჩაპლ-ჰილში (ჩრდილოეთი კაროლინა) ცენტემნიალზე, რომელიც გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთ კაროლინის შტატის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა იურიდიული მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება. თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი კენედიმ მიუძღვნა ამოცანებს, რომლებიც დგას შეერთებული შტატების წინაშე საგარეო პოლიტიკურ დარგში. მან აღნიშნა, რომ არ უნდა გამოიჩინონ ვიწრო, ცალმხრივი მიდგომა საგარეო პოლიტიკური პრობლემებისადმი, და თქვა, რომ საჭიროა შეიმუშაონ ამ პრობლემების გადაჭრის უფრო მოქნილი და რეალისტური მეთოდები.

კენედიმ განაცხადა: „საშიში ილუზია იქნებოდა მივიჩნიოთ, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა შეიძლება შემოიფარგლოს ერთი ლუზუნგით, ან დავახასიათოთ იგი მკვახე, რბილი თუ რომელიმე სხვა სიტყვით. ანდა მივიჩნიოთ, რომ მალე ამერიკის შეერთებულ შტატებს მოელით სრული გამარჯვება ან სრული დამარცხება". „ჩვენს პოლიტიკაში, — თქვა კენედიმ, — შეხაბებული უნდა იყოს მოქნილობისა და სიმტკიცის ყოველი დონე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი უაღრესად მნიშვნელოვანი ინტერესები, თუ შესაძლო იქნება მშვიდობიანი საშუალებებით, თუ აუცილებელი — გადამწყვეტი მოქმედებით".

პრეზიდენტის სიტყვით, ისტორიაში პირველად ამერიკის შეერთებული შტატები ახლა განიცდის პერიოდს, „როცა ორ დაპირისპირებულ სახელმწიფოს შეუძლია მოსპონ ერთმანეთი". მან განაცხადა, თუმცა ჩვენ არ გვინდა უკან დაიხიოს თავისუფლმა სამყარომ, ყოველ ღონეს ვიხმართ, მსოფლიო რომ არ აფეთქდესო. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დადგა დრო ერმა გამოიჩინოს მოწიფულობა და გაგება, მზად იყოს დაინახოს საკითხები, ისე, როგორც სინამდვილეშია, და არა ისე, როგორსაც გვინდა ვხედავდეთ... ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ სინამდვილე და მონაგონი, ხანგრძლივი და დრეგნური, მნიშვნელოვანი და წვრილმანი". კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ მა შტატებმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა იმი, რომ ანგარიშს აძ უწევდეს ფანატიკოსებ ს ა და უგუნურებს თვით ამერიკაში თუ საზღვარგარეთ".

საზღვარი უცვლელია

ჯ. ნერუსა და ა. ზავადსკის გამოსვლები დელიში

დელი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სამოქალაქო დარბაზობაზე, რომელიც გაიმართა აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ზავადსკის პატივსაცემად, სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ. მან იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის საკითხი და ბერლინის პრობლემა მშვიდობიანი გზით მოწესრიგდება. ნერუმ აღნიშნა, რომ ამის საფუძველია დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ამასწინანდელი კონტაქტები ნიუ-იორკში. პრემიერ-მინისტრი მიესალმა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ცენტრალური ევროპის, პრობლემების. განსაკუთრებით გერმანიისა და ბერლინის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრა. ნერუმ იმედი გამოთქვა, რომ მიღწეულ იქნება მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

პრემიერ-მინისტრმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოდერ-ნოისეს საზღვარი არ უნდა შეიცვალოს, ყოველი ცდა — შეცვალონ ეს საზღვარი, განაცხადა ნერუმ, მოასწავებს ომს — დამღუპველს კაცობრიობისათვის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზავადსკიმ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიის საზღვრ ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ ქალაქად შეესაბამება მთელი მსოფლიოს ინტერესებს და ყველა ხალხის ინტერესებს. ა. ზავადსკიმ შემდეგ თქვა, რომ საჭიროა განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, რაც შეესაბამება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს.

განაჩენი გამოუტანეს...

ჰავანა, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ქალაქ მატანსასის რევოლუციურმა ტრიბუნალმა განიხილა კონტრრევოლუციონერთა დიდი ჯგუფის საქმე და სიკვდილი მიუსაჯა ერთ კონტრრევოლუციონერს — ამერიკის შეერთებულ შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტს. ტრიბუნალის განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამ აგენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა ტეროროისტთა და დივერსანტთა სპეციალური კურსები. როცა კუბაში დაბრუნდა მიმდინარე წლის იანვარში, მან კონტაქტი დაამყარა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სხვა აგენტებთან რევოლუციური მთავრობის დამხობის მიზნით, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები სახავენ, კონტრრევოლუციონერები ჩადიოდნენ საბოტაჟის, ტეროროსა და მკვლელობის აქტებს.

სხვა ბრალდებულთ მიესაჯათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა — 6 წლიდან 30 წლამდე. თექვსმეტ კონტრრევოლუციონერს მიესაჯათ პირობითი პატიმრობა ერთი წლით და იმუშაავებენ ერთ-ერთ სახალხო მამულში. ათი კაცი გაამართლა რევოლუციურმა ტრიბუნალმა.

XXII ყრილობა მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

ტელეგრაფი გვაცნობებს

ვანტი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სააგენტო „განთავისუფლება" სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების საინფორმაციო ორგანო იუწყება, —მიმდინარე წლის პირველ 6 თვეში ნგო დინ დიემის არმიიდან (სამხრეთ ვიეტნამში) გაიქცა 4.000-ზე მეტი ჯარისკაცი, რომლებიც ხალხის მხარეზე გადავიდნენ.

ბონი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ბრემენაფენის ნავსადგურში ჩავიდა 1.500 ამერიკელი ჯარისკაცი. როგორც დპან სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალი ჯარები ჩამოვიდნენ პრეზიდენტ კენედის განკარგულების შესაბამისად, რომ გაძლიერდეს ამერიკის შეიარაღებული ძალები ევროპაში.

პარიზი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ უსუნბურგში მომკლეს ურუნდის პრემიერ-მინისტრი პრინცი ლუის რვაგასორე.

მკვლელის ვინაობა გამოურკვეველია.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გუშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორბიტაზე დედამიწის გარშემო გაუშვეს „დისკავერერის" სისტემის ხელოვნური თანამგზავრი. თანამგზავრი პოლარულ ორბიტაზე გაუშვეს სპაეერო-სამხედრო ძალების ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) ბაზიდან რაკეტ „ტორ-აგენის" საშუალებით.

ეკონომიკური ინფორმაცია

ვინ თმოგს, ვინ ჯიუტოგს?



ვ. ა. ზორინის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა პრეს-კონფერენცია გამართა, რომელზეც კორეს-პონდენტებს გააცნო საბჭოთა კავშირის პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საკითხსა და იმ საკითხში, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებლის დანიშვნის შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, განაცხადა ვ. ა. ზორინმა, რომ ბუდაპეშტში პრესაში ავრცელებენ ხმებს, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა პოზიციას, სსრ კავშირის დელეგაციას სურს, რომ საზოგადოებრიობას გააცნონ საქმე, რათა შეძლოს განსჯის ნამდვილი ვითარება, საბჭოთა დელეგაციის პოზიცია და იმათი პოზიცია, ვისზეც ამეამად დამოკიდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საკითხის წარმატებით გადაჭრა.

ვ. ა. ზორინმა მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საკითხში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. ეს პრინციპული პოზიცია იმის შესახებ, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს და ყველა მისი ორგანოს ძირეული რეორგანიზაცია, თქვა ზორინმა; „ჩვენ პოზიციად, რომელისთვისაც საბჭოთა დელეგაცია განაგრძობს ბრძოლას, რადგან სწორედ ასეთ ძირეულ რეორგანიზაციას მსოფლიოში შექმნილი რეალური მდგომარეობის შესაბამისად შეიძლება მოჰყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ნამდვილად ძირეული გაუმჯობესება. მაგრამ, გათვალისწინა რა დღევანდელი დღის ვითარება და ის, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საკითხი გადაიჭრას სამდივნოს ხელმძღვანელის უყოლობის გამო, საბჭოთა დელეგაცია დათანხმდა დროებითს გადაჭრას.

ასეთი დროებითი გადაჭრა ის არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნოს იმ პერიოდისათვის, სანამ ვადა გაუვიდოდეს განსვენებული ჰამარშელდის რწმენებულებებს 1963 წლის აპრილში. იმასთან საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ასეთმა დროებითმა გადაჭრამ არ უნდა მიაყენოს ზიანი მხარეთა ძირითად პოზიციებს და ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ აღმოიფხვრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საქმიანობის ცალმხრივი ხელმძღვანელობის მანკიერი პრაქტიკა.

საბჭოთა დელეგაციას, აღნიშნა შემდეგ ზორინმა, მიაჩნდა და მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის პროცედურისა და მისი მომავალი საქმიანობის განსაზღვრის საკითხი უნდა გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად უმეშროების საბჭოს მეშვეობით.

ზორინმა თქვა, რომ, საბჭოთა დელეგაციის აზრით, გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე დასახელებულმა კანდიდატმა უნდა განაცხადოს, რომ თუ ის დაინიშნა აღნიშნულ პოსტზე, გარკვეულ კვალიფიკურ პირებს გენერალური მდივნის მოადგილეთაგან (გარკვეული ქვეყნებისა და კონტინენტებისაგან) მიიწვევს მთავარ მრჩეველად დიპლომატიურ საკითხებში, რომლებიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სამდივნოსთვის დაკისრებულ ფუნქციების შესრულებას. მან აგრეთვე უნდა განაცხადოს, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებს და ეთათბირება ამ პირებს და ყოველ ღონეს იხმარს, რათა ყველა საკითხი გადაჭრას მათთან შეთანხმებით, ან ურთიერთგაგების საფუძველზე.

ზორინი შეეხო საკითხს, თუ ვინ უნდა შედიოდეს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის მრჩეველთა რიცხვში და რამდენი უნდა იყოს ეს მრჩეველი, და თქვა, რომ მოადგილეთა რიცხვში უნდა შედიოდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და აფრიკის ან აზიის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქენი იმისდამიხედვით, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი თვითონ.

დასასრულ ვ. ა. ზორინმა პასუხი გასცა კორესპონდენტთა კითხვებზე.

კოლუმბიის ოქროს მედალი მიენიჭა იური გაგარინს

რომი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. გრონკიმ გუშინ გენუაში სსრ კავშირის ელჩს იტალიაში ს. პ. კოზირევს გადასცა კოლუმბის ოქროს მედალი, რომელიც იური გაგარინს მიენიჭა.

მედალი გადაეცა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ფლისთვის უოველიერი დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით.

გ. ტიტოვი გუჟარესტში

გუჟარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით დღეს გუჟარესტში ჩამოვიდა საბჭოთა მფრინავი-კოსმონავტი მაიორი გ. ს. ტიტოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეკოსმონავტეთ ერთთვიერის დღესასწაულში.

მეტკიცე პროტესტი ნიდერლანდის მთავრობას

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა ნიდერლანდის მთავრობას ნოტა, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ. კ. პონომარენკოსა და საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომელთა მიმართ ჰოლანდიის პოლიციის ხელისუფალთა აღმაფოთებელი და სამარცხვინო მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს დანაშაულთა დასჯას.

9 ოქტომბერს ამსტერდამის აეროდრომიდან საბჭოთა კავშირში მოფრინავდა საბჭოთა ტურისტების ჯგუფი. მათ აცილებდნენ სსრ კავშირის ელჩი და საელჩოს თანამშრომლები. თვითმფრინავში ჩასხდომის დროს ჰოლანდიელმა პოლიციელებმა მოაწყეს პროვოკაცია, რომლის მიზანი იყო არ დაეშვათ სამშობლოში საბჭოთა მოქალაქის ი. ა. ალექსეევას დაბრუნება. საბჭოთა ელჩი და საელჩოს თანამშრომლები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ ღონისძიებანი, რათა დაეცვათ მოქალაქე ალექსეევა უკანონო მოქმედებისაგან. ჰოლანდიელმა პოლიციელებმა უხეში შეურაცხყოფა მიაყენეს საბჭოთა კავშირის ელჩს, გამოიყენეს ფიზიკური ძალა ელჩისა და მასთან მყოფ საბჭოთა საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომელთა მიმართ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებულია გამოიწვიოს ნიდერლანდიდან თავისი ელჩი ბ. კ. პონომარენკო. ამავე დროს საბჭოთა მთავრობას შესაძლებელად არ მიაჩნია ნიდერლანდის ელჩის ბ-ნ ჰენრი ა. ჰილბის შემდგომი ყოფნა საბჭოთა კავშრში.

საბჭოთა მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ ნიდერლანდში საბჭოთა დიპლომატების მიმართ ამგვარი მოქმედების განმეორების ყოველგვარ შესაძლებლობას მომავალში.

ამერიკის მისიის მარცხი

ტოკიო, 13 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც ცდილობს დაფაროს ოკინავაზე კოლონიური ბატონობის კვალი, გადაწყვიტა შეესწავლოს ამ კუნძულების 900 ათასიანი მოსახლეობის „მდგომარეობის გაუმჯობესების გზები". პრეზიდენტმა კენედიმ 5 ოქტომბერს ოკინავაზე გაგზავნა სპეციალური მისია კუნძულების ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გასაცნობად და ადგილობრივ ხელისუფლებთან და მოსახლეობასთან შერიგების გზების გამოსაძებნად.

მაგრამ მისია მარცხით დამთავრდა, როგორც დღეს გაზეთი „ასახი" იუწყება, რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრებამ მტკიცედ განუცხადა ამერიკის მისიის წევრებს, რომ „ოკინავას პრობლემის გადასაჭრელად არის ერთადერთი გზა — კუნძულების შეერთება იაპონიასთან".

საკანონმდებლო კრებამ მოსთხოვა ამერიკის მთავრობას აღაკვეთოს სამხედრო ხელისუფალთა ძალმომრეობა კუნძულებზე, ადაუქმოს კანონი, რომელიც კრძალავს პროფკავშირთა შექმნის თავისუფლებას, მიანიჭოს ოკინაველებს იაპონიის მოქალაქეობა, უზრუნველყოს ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურის არჩევითობა, რომელსაც ახლა ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისარი რიუკიუში.

აკეთდნენ საერანგეთის ქვემეხები

ტუნისი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ტუნისის პრესის სააგენტო იუწყება, რომ 11 ოქტომბერს საღამოს საფრანგეთის ჯარებმა ალჟირის ტერიტორიიდან 105 ქვემეხი ძლიერი ცეცხლი დაუშინეს ტუნისის დასახლებულ პუნქტს ხენჩირ აინ ჰამამს. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ლეიტენანტი და სანგარი

ახალბაზრდა ლეიტენანტი, რომელმაც ის-ის იყო დაამთავრა ოცეულის მეთაურთა კურსები, მოწინავე ხაზზე მდგომ შენაერთში გაამწესეს. მისმა ოცეულმა პირველსავე დღეს მიიღო ბრძანება გაეთხარათ სანგრები. ამ საქმეში გამოუცდელმა ლეიტენანტმა ბრძოლებში გამობრძმედილ თავის სერჟანტს ჰკითხა:

— სად არის ჩემი სანგარი?

— ბატონო ლეიტენანტო, — უპასუხა სერჟანტმა, — თქვენ უკვე სანგარში ხართ, საჭიროა მხოლოდ მიწის ამოყრა.

ფესრიგის დამცველნი

საკუთარი მანქანების მფლობელთათვის კრუსტონში (მინესოტის შტატი) ბედნიერი დღეები დადგა. ამიერიდან მათ შეუძლიათ დაიყენონ თავიანთი მანქანები სადაც მოესურვებათ და არ ეშინოდეთ, რომ ამისათვის ფულად ჯარიმას გადაახდევინებენ. საქმე ის არის, რომ ადგილობრივი პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ იგი სამართალში არ მისცემს არცერთ ავტომფლობელს ქუჩაში მანქანების დაყენების წესის დარღვევისათვის, ვიდრე ადგილობრივი მსაჯული ჯონ კელი არ გადაიხდის ჯარიმას ამ წესის ჩვიდმეტჯერ დარღვევისათვის.

ძალლის ძებნაში

მდიდარი ამერიკელი მოგზაურობის დროს ერთ-ერთ პატარა ქალაქს ეწვია ინგლისში. ერთ მშვენიერ დღეს მან დაკარგა იშვიათი ჯიშის ძალლი, რომელიც ქალაქში გამოეკვანძა გასახეირნელად.

ამერიკელი მისტერი ძალიან დაღონდა და ადგილობრივ საღამოს გაზეთში განცხადება მოათავსა, რომ ვინც მის საყვარელ ძაღლს იპოვნიდა და მიუყვანდა, 100 ფუნტ სტერლინგს მიიღებდა გასამრჯელოდ. საკმაო დრო გავიდა, მაგრამ ძაღლი არ ჩანდა. ამერიკელი გაზეთის რედაქციაში გაეშურა, მაგრამ იქ დარაჯის მეტი არავინ დახვდა.

— განა გაზეთი არ გამოდის? — გაიკვირვა ამერიკელმა.

— მე მგონი იგი დღესაც არ გამოვა, — უპასუხა დარაჯმა, — მთელი ქალაქი ვიღაც ამერიკელის ძაღლს ეძებს.

მეფენი და ტანკები

ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთი ნატოელი მოკავშირეებისაგან სამხედრო მანქანის ქანჩების მოტერას მოითხოვენ. „ცივი ომის" ჰოლანდიელი რაინდები, რომლებიც ოკეანისგაღმელი სულისჩამდგმელების რეციპტებით მოქმედებენ, საომარ აეროტაეს აღვივებენ. „დასავლეთ ბერლინის კრიზისის" საბაბით ჰოლანდიაში აგროვებენ თადარიგში მყოფ სამხედრო პირებს, ხოლო ამას წინათ იქ ჩაიყვანეს მეოთხე დივიზია, რომელიც დისლოცირებულია საფრანგეთში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰოლანდიელებს შესთავაზეს შეექმნათ სურსათის შვიდი დღის მარაგი ომის შემთხვევაში. შეხედეთ ამ სურათებს, რომლებიც ამოღებულია ინგლისურ ჟურნალ „სფირიდან". როგორც წესი ეს ჟურნალი ბეჭდავს ხოლმე სამეფო მეჯლისების ცნობილ პიროვნებათა ქორწინებისა და დღოის ამსახველ სურათებს. მაგრამ დღეს, როდესაც დასავლეთში ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა გაამწვავონ საერთაშორისო მდგომარეობა, მობილიზებულია თვით მონარქიაც. მარცხენა სურათზე აღბეჭდილია ჰოლანდიის დედოფალი იულიანა, რომელიც თვალყურს ადევნებს სატანკო არმიის მანევრებს. მარჯვენა სურათზე კი სათვალიანი ოფიცერი — ჰოლანდიელი პრინცი ბერნჰარდი ათვალიერებს ტანკს, რომელსაც მისი სახელი უწოდეს, სიმბოლური სურათია.



სკვირეთ გვერდი

ახალგაზრდობა

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში საქართველოს ტელევიზია მორიგი პროგრამით წარსდგა მრავალმილიონიანი საბჭოთა მაყურებლის წინაშე. ტელეგადაცემათა ეს პროგრამა მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას და წართო გამოხმაურება ჰპოვა. ამაზე მეტყველებენ წერილები, რომლებსაც საქართველოს ტელესტუდია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ღებულობს. იწერებიან რუსები და უკრაინელები, ლატვიელები და ლიტველები, ესტონელები, რესპუბლიკის წარგლებს გარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულენი.

აი რას გვწერენ ისინი.

გულით ნათქვამი...

მე მეშახტე ვარ, პროფესიით ოსტატი-ამფეთქებელი, — იწერება ქალაქ გუკოვოს მცხოვრები ტიხონ ბერეზინი, — თქვენი გადაცემები მომეწონა. მათში კარგად ჩანს ახალი თქვენი ხალხის შრომითი გმირობა, ქართული მიწის ბარაქა, მისი ბუნების სიდიადე.

მოსკოველი ა. მარკოვის წერილში კითხულობთ — კარგად ვიცნობ ყველასათვის საყვარელ კუთხეს — აყვავებულ საქართველოს, მის წარმტაც ბუნებას, ქართველი ხალხის დიად მიღწევებს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. მოვისმინე საქართველოს ტელეგადაცემა, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. მე ექვსი წელი ვცხოვრობდი საქართველოში, წითელწყაროს რაიონის პატარა სოფელ არხილოსკალაში. ეს საუცხოო კუთხეა მდიდარი ყანებითა და ვენახებით, არაჩვეულებრივი მშრომელი ხალხით...

საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცები გ. მაზიაშვილი და რ. სეფიაშვილი იტყობინებიან:

ჩვენთვის, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომთათვის მოულოდნელი იყო უკრაინაში ქართული ტელეგადაცემის ნახვა და მოსმენა. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ტელეეკრანი გვაცნობდა ქართველი ხალხის მჩქეფარე ცხოვრებას, თავდადებულ შრომას დიადი მომავლისათვის ბრძოლაში.

მოსკოვის ტელევიზიით ვნახეთ გადაცემა ბავშვებისათვის — გვწერენ ნ. პანტალეევა და კ. ბერსინი, — რომელიც თბილისის ტელესტუდიამ მოამზადა. აღფრთოვანებული ვართ რეჟისორ მ. თუმანიშვილის და მხატვარ თ. სამხონაძის გამომგონებლობით. იგრძნობა, თუ რა დიდი სიყვარულითა და გემოვნებით მოუმზადებიათ მათ ეს „მხიარული ფურცლები“. მოგვხიბლეს ამ გადაცემის მონაწილე პატარა მსახიობებმაც.

ძვირფასო ქართველო მეგობრებო! ჩვენ, ვილნიუსის უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელებმა, — იტყობინება ბარათი, — ვნახეთ და დიდი უურადღებით მოვისმინეთ თბილისის სატელევიზიო სტუდიის გადაცემა და ამაყოფილნი დავრჩით ნაჩვენები პროგრამით.

სულ რამდენიმე საათში ჩვენ უფრო ახლო გავეცანით შრომისმოყვარე ქართველ ხალხს, მის ცხოვრებას, მართალია, ჩვენ ბევრი რამ ვიცით თქვენი შესანიშნავი მხარის შესახებ, მაგრამ ყოველი ასეთი შეხვედრა ტელევიზორის ეკრანზე ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრების შესახებ.

მადლობას გიძღვნით ასეთი კარგი გადაცემისათვის და წარმატებებს გისურვებთ თქვენს შემოქმედებითს მუშაობაში.

გულით ნათქვამი სიტყვებია.

ე. ჩუბინიძე.



ახალი ქართული ფილმები

კინომუშაკები — ყრილობას

სკკპ XXII ყრილობის დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კინოთეატრების ეკრანებზე გამოვა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი მხატვრული ფილმები — „უდიპლომო სასიძო“, „ერთი ცის ქვეშ“ და მოკლემეტრაჟიანი ქრონიკალური „ბურთი და მოედანი“.

კინოკომედია „უდიპლომო სასიძო“ შექმნილია რ. ებრალიძის, ო. რაზმაძისა და ლ. ხოტივარის სცენარის მიხედვით. ფილმის რეჟისორია ლ. ხოტივარი, ოპერატორი — ლ. სუხოვი, კომპოზიტორი — ბ. კვერნაძე. ფილმი საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზეა გაშლილი. იგი ასახავს უსაქმო ახალგაზრდის ცხოვრების გარდაქმნის ამბავს.

ქალის ბედს ეხება მხატვრული ფილმი „ერთი ცის ქვეშ“, რომელიც სამი დამოუკიდებელი კინონოველისაგან შედგება: „თავადის ქალი მაია“, „მტრედები“ და „ფრესკა“. ფილმის დამდგმელი რეჟისორია ლანა ღოღობერიძე. ოპერატორი — ლ. პაატაშვილი, მუსიკა ეკუთვნის რ. ლაღიძეს.

კინოსურათი „ბურთი და მოედანი“ კომიკურ სცენებში ასახავს ფეხბურთის გულშემატკივართა ამბავს. ფილმის სცენარის ავტორია ხ. ყენტი, რეჟისორი — გ. მგელაძე, ოპერატორი — ფ. ვისოცკი.

ყრილობის დღეებში საკავშირო ეკრანზე უჩვენებენ ავრეთვე რუსულ ენაზე გახმოვანებულ ქართულ ფილმებს „განძს“, „კეთილ ადამიანებს“ და „ენგურის ნაპირებზე“.

ამჟამად თბილისის კინოსტუდიაში ფართო შემოქმედებითი მუშაობაა გაშლილი. იღებენ ახალ ფილმებს, რომლებიც ასახავენ ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენი ახალგაზრდობის, კოლმეურნეების ცხოვრებას,

„სოფელი ბიჭი“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელსაც იღებს რეჟისორი თ. აბულაძე ნ. დუმბაძისა და თ. აბულაძის სცენარის მიხედვით. ოპერატორია ტ. კალატოზიშვილი, მხატვარი — რ. გიგაური, კომპოზიტორი — ა. კერესელიძე.

ქართველი მეცხვარეების ცხოვრებას ეხება ფილმი „გზები და ჯვარედინები“. კინოსურათი იქმნება მ. ელიოზიშვილის სცენარის მიხედვით. რეჟისორები არიან ე. შენგელაია და თ. მელიავა, ოპერატორი — გ. კალაშნიკოვი, მხატვარი — დ. თაყაიშვილი.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“.

ყრილობისადმი მიძღვნილი

ჩვენი რესპუბლიკის თეატრები ნაყოფიერად მოემზადნენ სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. შემოქმედებითი კოლექტივების დიდი უმრავლესობა უკვე ამთავრებს მუშაობას საბჭოთა ავტორების ახალ ნაწარმოებებზე და იბრძვის, რათა შექმნას მხატვრულად სრულყოფილი, მაღალიდეური და ამაღელვებელი სპექტაკლები, რომლებშიც ასახულია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი გმირი ხალხის ცხოვრება და შრომა, ხალხთა მეგობრობა და შმგიდობა მთელ მსოფლიოში.

ყრილობის მიმდინარეობის დღეებში რესპუბლიკის თეატრებში გაიმართება საუკეთესო დრამატული და მუსიკალური სპექტაკლების კვირეული.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ოქტომბერ-დეკემბერში მოეწყოს სკკპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების დათვალიერება.

დათვალიერების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული თეატრების მუშაობა რეპერტუარზე, მათ მიერ სოფლის მოსახლეობის მომსახურება, სახალხო თეატრებისა და თვითმოქმედი კოლექტივებისადმი დახმარება.

ყურადღება მიექცევა აგრეთვე როგორც სტაციონარული, ისე გასვლითი სპექტაკლების ხარისხს. დათვალიერებაში გამარჯვებული კოლექტივები და თეატრის ცალკეული მოღვაწეები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების სპეციალური ჯილდოებით.

თბილისში იმღერებს ალიცია დანკოვსკა

19 და 21 ოქტომბერს გაიმართება ვარშავის ოპერის სახელმწიფო თეატრის პრემიერის ალიცია დანკოვსკას გასტროლები. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გამოვიდა დებიუტით ვროცლავის საოპერო თეატრში. 1954 წელს დიდი წარმატებით გამოდიოდა ჩეხოსლოვაკიის საოპერო თეატრების სცენებზე „ტოსკაში“, „აიდაში“, „მფრინავ ჰოლანდიელში“ და სხვა ოპერებში. შემდგომ წლებში იგი არაერთხელ იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ვაგნერის ორ ფესტივალში მონაწილეობდა (1957 და 1958 წლებს).

1957 წლიდან ალიცია დანკოვსკა წამყვანი სოლისტია ვარშავის ოპერაში, რომლის სცენაზეც ასრულებს მთავარ პარტიებს მოცარტის, ჩაიკოვსკის, ვერდის, პუჩინის და სხვათა ოპერებში. უკანასკნელ წლებში იგი ხშირად მართავს გასტროლებს ბულგარეთის საოპერო თეატრებში (სოფია, პლოვდივი, ვარნა და სხვ.), ბუქარესტის, ბუდაპეშტის, გერმანიის ქალაქებისა და ევროპის სხვა თეატრებში.

საზღვარგარეთის და პოლონეთის კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევს ალიცია დანკოვსკას ნიჭს, აღნიშნავს მისი ხმის ტემბრის სილამაზესა და ძალას, არაჩვეულებრივ მუსიკალობას, სტილის გრძნობას და შესანიშნავ არტისტულ მონაცემებს.

ხელოვნების ქრონიკა

სამგზედია. (საკ. კორ.). ნაფაღაურის სოფლის კლუბი მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. აქ ხშირად იმართება საღამო-კონცერტები, წარმოდგენე ბი. ნაყოფიერად მუშაობს კლუბთან არსებული დრამატული წრე, რომელმაც მაყურებელს უჩვენა კ. გოგიაშვილის „რაც მოგვა დავითაო“, მ. გოგიაშვილის „წვეთი ღვინო“ და სხვა დადგმები.

ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი აბაშელი მაყურებლების ხშირი სტუმარია.

ამ დღეებში ფოთის თეატრმა აბაშაში წარმოადგინა გ. სტეფანსკის პიესა „ავი სული“.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ი. თოფურია.

თბილისის ახალგაზრდა ფაბრიკის საყვირმა მუშებს შესვენების დაწყება ამცნო. ახალბედა მქსოველებმა მერი გელაშვილმა (სურათზე მარცხნივ) და ზემფირა ტყეშელაშვილმა სიმწვანეში ჩაფლულ სკვერს მიაშურეს.

ნეტავ რას ათვალიერებენ ასეთი ყურადღებით ეს სახემცინარე, სიცოცხლით სავსე გოგონები?

ფოტო ბ. დადვაძისა.

ი ო ლ ი ს ა მ უ შ ა ო

მოთხრობა

ლილით ფოსტალიონმა ჩემი დის წერილი მომიტანა. არც ვინმეს მოკითხვას მწერდა, არც ჩვეულებრივი „სალამით“ იწყებდა და არც „გკოცნით“ ათავებდა. — მამას აღარ შეუძლია, ამოდი, მოხუცის დაბინავებაში მაინც მოეშველე. აქ სოფელს აკლიხარ და მანდ ქალაქს არას არგიხარო. — ეტყობოდა გაჯავრებული იყო, თორემ სხვა დროს იმდენს გააჭრელებდა, მთელ დღეს კითხულობდი ხოლმე.

ერთი კვირით გავთავისუფლდი და ავტობუსის ბილეთი ავიღე. მიყვარს ფანჯარასთან ჯდომა და გარეთ ყურება. ხეები რიგრიგობით გარბიან უკან. უფრო შორს წითელკრანიტიანი სახლები ჩვენ მოგვდევენ. მერე სახლები ჩამოგვრჩნენ და ახლა მინდორი მოგვდევს. მერე მთაც აგვედევნა, მაგრამ მაინც ჩამორჩა. ეს შორს. ახლოს კი, ხეები თავპირის მტვრევით გარბიან უკან.

ჩუმს გვერდით ქალიშვილი ზის. ზას ჩუმად და ვერც კი ხვდება, რომ მე იმაზე ვფიქრობ, როგორ გამოველაპარაკო. პირდაპირ ეკითხო, სად მიდიხარ-მეთქი, რა ჩემი საქმეა. თუნდაც ეკითხო, მიპასუხებს და მერე რაღა ქენა? არა, რაიმეს თქმას მერეც მოვახერხებ, მაგრამ მეშინია თავხედობად არ ჩამითვალოს და სულ არ გავაფუჭო საქმე. ხანდახან გადავხედავ, თანაც გულგრილ იერს ვიღებ, რომ ძალიან დაინტერესებული არ ვეგონო და არ გაიპარაჭოს.

ქალიშვილს გაეკინკლა. თვალები დახუჭა და თავი ხელებში ჩარგო.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მომეცა საბაბი.

—არა, ბენზინის სუნს ვერ ვიტან და... ფანჯარასთან გადმოჯექით.

— გმადლობთ! — უარი არ უთქვამს. მაშინვე წამოდგა და გზა მომცა. რომ გამევლო. მოვთავსდით. ის ფანჯარასთან, მე აქეთ. წელან უკეთესიც კი იყო. ფანჯრისკენ ქონდა თავი მიბრუნებული და ძალუნებურად ჩემკენ იყურებოდა. ახლა კი, სახეს ვეღარ ვხედავ. ვხედავ მხოლოდ თეთრ კისერს და მოკლედ შეჭრილ თმას.

მანქანა მიჰქრის. სულ რაღაც ერთი საათის სავალიღა დარჩა და გაცნობა კი ვერ მოვახერხე.

— კოდევ ცუდად ხართ? — წამოვიძახე უცებ.

მან ჩემკენ მოიხედა და გაიღიმა.

— არა, ახლა უკეთ ვარ.

— არ უნდა ჩაჯდეთ ხოლმე მანქანაში. წასულიყავით მატარებლით. დავარიგე და სულელურად გავწითლდი.

— თქვენ ალბათ აქეთ მსახურობთ, არა? — შეეკითხე. მინდოდა გაერკვი, საიდ მიდიოდა.

— არა, მე არ ვმსახურობ, სტუდენტი ვარ.

— სტუდენტი? — გავიკვირვე, თითქოსდა საოცარი რამ ეთქვას.

— საიდ სწავლობთ?

— სამედიცინო ინსტიტუტში.

თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა, ახლა ესეც ექიმია. ეს ფანჯარასთან, მე ცხვირს მაღლა აიწევდა და ზედაც აღარ შემომხედავდა. უცბად თავში ლამაზმა აზრმა გაიფარფატალა და საქმიანად ეკითხე.

— ალექსანდრე გასწავლით რამეს?

— დიახ!

— პაპაჩემია. — ვთქვი გულგრილად და ჩემი მეზობელი პროფესორი პაპაჩემად გავასაღე.

ნასროლი მიზანში მოხვდა. ქალიშვილმა სულ მიატოვა ფანჯარა და „პაპაჩემის“ ქებას მოჰყვა. მერე კი თვითონაც დაინტერესდა.

— თქვენც ალბად პაპის კვალს გაჰყევით, არა?

— არა. ჭე არ მიყვარს მედიცინა. დედაჩემიც ექიმია და ერთი სული ჰქონდა, მეც სამედიცინო ინსტიტუტი დამემთავრებინა, მაგრამ ისევ ქიმიკოსობა ვარჩიე.

— ქიმიკოსი ხართ? — ახლა ქალიშვილმა გაიოცა.

— არა, ჯერჯერობით ბევრი მაკლია. გაიარდ დავამთავრებ ასპირანტურას და შეიძლება მერე ნამდვილი ქიმიკოსი ვიყო. — თავმდაბლობა გამოვიჩინე და სულაც არ გავწითლებულვარ.

— არ გეწყინოთ და შესახედაობა კი ისეთი გაქვთ, მოჭიდავე მეგონეთ.

არ მესიამოვნა, მაგრამ არ შევიმჩნევ და იმასთან ერთად გავიცინე. ქალიშვილმა ჩამომითვალა ქიმიკოსი ასპირანტები. მკითხა, ვიცნობდი თუ არა. რა თქმა უნდა, ვიცნობდი, ყველას ვიცნობდი.

— არჩვაძე? ძალიან კარგი ბიჭია, ნაჭიერი.

—ბიჭი კი არა, მე მზია არჩვაძეზე გელაპარაკებით.

—აჰ! მზია? მზიაც ჩვენთან არის. ორივე არჩვაძეა. ერთმანეთის? არაფერი. უბრალოდ მოგვარეები არიან.

ქალიშვილი ხასიათზე მოვიდა. ხან მზიაზე ველაპარაკებოდა, ხან „პაპაჩემზე“. ოო! ეს „პაპაჩემი“ მაინც რა ყოფილა, ოცდაათ კაცში მარტო ერთს დაუწერია „ხეთი“, ერთი „ოთხი“ და დანარჩენებს „სამებიც“ სანატრელი გაუხდათ.

— არ გეწყინოთ და სტუდენტებს არ უყვართ. — და უცბად ფერი ეცვალა, — ვაიმე, არ უთხრათ რა, ზოგს არ უყვარს, თორემ აი მე, ძალიანაც მიყვარს, თითქმის ყველა პროფესორზე ძალიან.

— ნუ გეშინიან, არ ვეტყვი. მეც ვიცი, რომ ძალიან მკაცრია, — დავამშვიდე, როგორც იქნა.

— ჩამოვიდა პაპათქვენი?

— დიახ, ჩამოვიდა. — ვუთხარი და მთლად დავიძაბე. ახლა იყო ბიჭობა, არაფერი არ წამომცდენოდა და იმისაგან გამბედო სად იყო, „პაპაჩემი“. განა არა, ერთი თვეც იქნება ეზოში თვალი აღარ ჩამიკრავს.

— რა თქვა, კმაყოფილია?

— ისე რა, არც ისე, არც ასე. აჰა! ალბათ დასასვენებლად იყო საგმე სანატორიუმში.

— კარგია, ახლა აღარ შეაწუხებს.

— დიახ! — ნეტავ რა? ან გული, ან რევმატიზმი, ალბათ წყალტუბოში თუ იყო.

—თორემ მარტო შეედოვის წერილების კითხვას ვერ ასდიოდა.

რა შუაშია შეედოვის წერილები?— გავიფიქრე და დავეთანხმე.

— დიახ! ეუარებელი წერილები. თითქმის ყოველდღე მოსდიოდა და ყველა შეედოვისაგან.

— ახლა მოეშვება, ალბათ დაუმტკიცებდა ამ მეთოდის უპირატესობას.

— რა თქმა უნდა... აჰა! ალბათ საგმე კონფერენცია ან ამისდაგვარი რაღაც იყო და, რომ არ წავფრთხიალებულიყავ, საუბარი შეეცალე. ფანჯარაში გავიხედე და ამოვიოხრე.

— ეჰ! საწყალი ციხე, რამდენი უბედურების მომსწრეა.

ქალიშვილმაც გახედა დანგრეულ ციხეს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მინდოდა რაღაც მეთქვა ამ ციხის წარსულზე. მაგრამ თავი შევიკავე. სამედიცინოს სტუდენტი კი იყო, მაგრამ ვაი თუ ისტორია სცოდნოდა და გაგვწითლებინე. თან გულში ვნატრობდი, რა იქნებოდა ამ ციხეზე მესწავლა მაინც რაღე სკოლაში. თავს გამოვიჩენდი. თუმცა მეტი თავის გამოჩენა აღარც მჭირდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალიშვილი აღტაცებული იყო.

ჩემი სოფლის გადასახვევზე მანქანა გავაჩერებინე. ქალიშვილს დიდი ამბით გამოვეთხოვე და ჩამოვედი. მივდიოდი ამაყად მტვრიან გზაზე. შორს კი ჭადრების ხეივანში მიჰქროდა ავტობუსი და მიჰყავდა ქალიშვილი, რომელთანაც რამდენიმე წუთის წინ ვიყავი ის, ვინც მინდოდა, რომ ყოფილიყავი.

მოვატყუე უდვთოდ. მაგრამ შემრჩა. თითქმის დავიჯერე ჩემი ასპირანტობა და ისეთი ქკვიანური საბით მივდიოდი, ძარღვები დამებერა.

— უი, შენ გენაცვალოს დედა, ჩემი ბიჭი ჩამოგვივიდა, — მომესმა ხმა, და უცბ გავთავისუფლდი ქიმიკოსი ასპირანტის სამოსელიდან.

— შენ შეგირცხვა ნამუსი, სადა ხარ, ბიჭო, ეს ამხელა საქმე და მე და ეს დედაკაცი. არაქათი აღარა გვაქვს — მითხრა მამაჩემმა.

—აჰ! თვალიც დაგიდგება, ბიჭი დაღლილია, შენი საყვედურიღა უნდა? — წამოეშველა დედაჩემი.

იმ საღამოს გზაზე გავედი და ბიჭებს ავუარე.

— გამარჯობა, გოდერძი!

— გაგიმარჯოს, ქალაქელო! როდის ჩამოხველ?

— ანაკავ, კოლექტივში ბუშაობ?

— მაშ არა და შენსავით ქალაქში დავხეტიალობ.

— შენ მწარეებს მოუკელ, მე რა, ტყუილად კი არ დავხეტიალობ, შვილოსა, საქმეს ვაკეთებ.

— საქმესა თორე, სულ შენ გეკითხებიან ჭკუასა.

— რატომაც არ მეკითხებიან, მაშ არა და შენი სახლიკაცივით მაზუთიანი ხელებით დავდივარ. ქალაქში წავიდე და ჭუჭყიან სამუშაოზე ვიყო? ჰი! მოკვდეს მაშინ ბიჭი.

—ჰა იოლი სამუშაო იშოვნე ბიჭო, თორე ჯანი არ მოგდევს. კაცმა შემოგხედოს, ბაყბაყ დევსა ჰგევხარ.

ხუმრობით მივლანძღ-მოვლანძღეთ ერთმანეთი, მერე პატარა ლხინიც გავაჩაღეთ და მეორე დღიდან დაიწყო ჩვეულებრივი სოფლური გაწამაწია.

— აბა ჩქარა დავკრიფოთ ვენახი, არ დაგვირთვილოს.

— ჰა, ჩქარა გოდრები.

— ბიჭო, წესიერად გარეცხე ქვევრი, ნუ მიაფუჩეჩე.

—ჩაიხარდა, ადამიანო, სიმინდი, დროზე ჩაყარე ჯიხურში.

—ვინა თქვა აღდენ ხანს კაკლის დაუბერტყაობა, რა იქნა ჩვენი ხალა?

მოკრიფე, დაწურე, შეიტანე, ჩაიწყე, აიტანე, შეინახე, გაანმე, და ბოლოს, ყველაფერი [illegible] ... ერთი პატარა ასური [illegible] ... ეკალ-ეკალ [illegible] ... მაცილეს.

პატრონიც მოუკვდეს სოფელს. რა სჯობს ქალაქს. არც ნთელი წელი გამოულეველი ღვინო ნინდა და არც იმდენი მუშაობა.

ლილით ჩემ სამსახურში გამოვცხადდი. მაგიდა ტროლეიბუსების გასაჩერებელთან ხის ჩრდილში გამოვაგორე და დავჯექი. ვხიარ ჩემთვის არხეინად და თვალს წყალს ვალევინებ.

უკვე ვიცი როგორც უნდა ვიმუშაო. ახალგაზრდებს ძმაბიჭურად გავუღიმებ და მივიპატიჟებ.

აბა, ბიჭებო! რა ფერის „ვოლგა“ გინდათ, წაიღეთ. ოქროს ხელი ნაქვს.

ხანში შესულ ქალებს გულწრფელად დავარიგებ:

— დეიდა, ქალბატონო, სარეცხის მანქანა უფრო გინდათ თუ მაცივარი. ამაზე ხელსაყრელი რაღა არის, ექვს შაურად მაცივარი დაიდგათ.

ჩასუქებულ კაცებს მოლოდინით შეეხედავ და დავუმატებ.

— ჰა, ძია აი, შუიდან ვიღებ, შენი იღბალი ყოფილა.

ქალიშვილებს ვეხვეწები:

—გოგოებო, საწოლი ოთახის გარნიტური, ვისაც კაი მზითეები უნდა. თუ გინდათ სამოთახიანი ბინა, ერთი კაი ანგარიშვეთ ბიჭით. გოგოებო, ნუ იყიდით, ტყუილად მაინც მოიხედეთ ჩემკენ.

გოგოებია ჩანთები მოიჩხრიკეს და მართლა მოტრიალდნენ.

— სამი ბილეთი მომეცი, — მითხრა ერთმა.

— აჰა, ლამაზო. ეს ერთი „სამოთახიანი ბინა“, ესეც „საწოლი ოთახის გარნიტური“, ესეც — რა გინდა, ლამაზო, მაცივარი თუ ტელევიზორი?

ორი ბილეთიც მე მომეცით. — ხმა რაღაც ნაცნობი მეჩვენა, ავიხედე და თითქოს გულს მარწუხები მოუჭირესო, სუნთქვა შემეკრა. ავტობუსში გაცნობილი ქალიშვილი იდგა და იღიმებოდა. არ ვიცი რამდენ ხანს, მგონი სულ ცოტა ხანს ვიყავით ასე გაშეშებულები, მერე ის მიტრიალდა და ჩუმად წავიდა. ნეტავი რაღე მაინც ეთქვა. თუნდა ერთხელ ეთქვა, „შე მატყუარაო“, მეც რაღეს ვეტყოდი, და გულს მოვიფხანდი. ის კი თითქოს თავისთვის იღიმებოდა და ჩუმად წავიდა. ერთხანს ვიჯექი სულმთლად გაწითლებული. მერე უცებ ავაღებე ლატარიის ბილეთები, ამოვიღლიავე მაგიდა და იქვე კანტორაში ნაცემი ძაღლივით შევედი.

— არ მინდა თქვენთან მუშაობა, არაფერი არ ჭინდა თქვენი, წაიღეთ, მიითვალეთ... და გოიცებულ უფროსს ლატარიის ბილეთები მაგიდაზე დავუდაგე.

ნანო იორამაშვილი.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თბილისი კინომაყურებლებმა ამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე კარგი ახალი ფილმი ნახეს თბილისის ეკრანზე. უდავოდ შთამბეჭდავი იყო კინორომანის „ორი სიცოცხლის“ პირველი სერია, რომელსაც კინოთეატრებში გასულ კვირას უჩვენებდნენ.

ბუნებრივია, რომ მაყურებელი მოუთმენლად ელის ფილმში მოთხრობილი ამბის შემდგომ განვითარებას.

კინორომანის „ორი სიცოცხლის“ მეორე სერიას თბილისელები ნახავენ ორშაბათიდან.

ფილმი შექმნა მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის კოლექტივმა ა. კა